კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 15 მარტი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

ქალაქ თბილისის მერია

www.tbilisi.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
42,86%
48,39%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
47,83%
41,45%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
35,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
53,85%
29,21%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
72,00%
30,81%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
26,92%
22,29%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60,00%
46,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
75,00%
49,58%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ქ. თბილისის მერის კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მერის არჩევის წესის მოკლე აღწერა და ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ ქალაქ თბილისის მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი. ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „მერი“:



- არ მოიძიება ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა (მათ შორის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული იმ დარგების აღწერა, რომლებსაც ხელმძღვანელობს ვიცე-მერი, მერის მოადგილეების ფუნქციათა განაწილების შესაბამისად), მისი სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ:

    - მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) საკრებულოს შემადგენლობიდან ნიშნავს მერი;
    - მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება;
    - მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ასრულებს მერის მოვალეობას მისი დროებით არყოფნისას ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში;
    - მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) შედის ქალაქ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში.

ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ვიცე-მერი“:

- არ მოიძიება ქ. თბილისის მერის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა (მათ შორის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული იმ დარგების აღწერა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მერის მოადგილეები ფუნქციათა განაწილების შესაბამისად), მათი სამუშაო ელ.ფოსტების მისამართები, მისაღების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; აგრეთვე, ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ მერის მოადგილეები შედიან ქალაქ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში და ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ მერის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ

თბილისის მერი. ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მერის მოადგილეები“:



ამასთან, ქ. თბილისის მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ მონიტორინგის ჩატარების მომენტისათვის ქ. თბილისის მერს ჰყავდა ოთხი მოადგილე პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) ჩათვლით, ხოლო ერთ-ერთი მოადგილის პოზიცია ვაკანტური იყო. შესაბამისად, სასურველია განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მერის მოადგილეები“ დამატებით შეიქმნას მესამე ინფორმაციული ბლოკი ქ. თბილისის მერის მოადგილის შესახებ, რა ბლოკშიც მოყვანილი იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია ტექსტის სახით - „მოადგილის თანამდებობა ვაკანტურია“ ან „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“.

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მერია სრული სახელწოდებით მოხსენიებულია, როგორც - „ქალაქ თბილისის მერია“, ხოლო შემოკლებულით, როგორც - „ქ. თბილისის მერია“. ხსენებული ინფორმაციის აღსანიშნავად საკმარისი იქნება მთავარ გვერდზე არსებულ ლოგოტიპთან იკითხებოდეს წარწერა - „ქალაქ თბილისის მერია“ ან „ქ. თბილისის მერია“:

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, რაც გულისხმობს, რომ ვებ-გვერდის ყველა გვერდს სასურველია დაუყვებოდეს შესაბამისი წერილობითი ფრაზა - „ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი“. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს ნიშნულების მიდამოებში, გარკვევით და ვრცლად:

4. ქ. თბილისის მერის ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული განყოფილება - „კონტაქტი“, სადაც მოყვანილი იქნებოდა:

- ქ. თბილისის მერიის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა (აგრეთვე, წერილობითი მითითება, რომ კონკრეტული მისამართი წარმოადგენს მერიის ოფიციალურ მისაღებს);

- ქ. თბილისის მერიის საფოსტო მისამართი (მისამართი საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართი (მაგ: info@tbilisi@gov.ge ან presscentre@tbilisi.gov.ge);

- საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის (ან საზოგადოებასთან ურთიერთობის ნებისმიერი სხვა სახის სამსახურის) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ქ. თბილისის მერიის ფაქსის ნომერი;

- ქ. თბილისის მერიის სისტემის სრული (გაშლილი) სარეკვიზიტო ცნობარი, რომელიც მოიცავს მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის/დანაყოფის (ადმინისტრაციისა და ადმინისტრაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის, საქალაქო სამსახურების და მათი დანაყოფების, ქ. თბილისის რაიონების გამგეობების და მათი აპარატების სტრუქტურული ქვედანაყოფების), ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარეკვიზიტო ცნობარს - საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ.ფოსტები, ფაქსის ნომრები, საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ხელმძღვანელ პირთა მისაღებების შესახებ საკონტაქტო ინფორმაციაც), საფოსტო მისამართები ინდექსებით *და ა.შ.*

  ზემოთ ხსენებულ სარეკვიზიტო ცნობარს საქალაქო სამსახურების, ქონების მართვის სააგენტოსა თუ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შესახებ სარეკვიზიტო ინფორმაცია შესაძლებელია დაემატოს განყოფილებაში „ბიზნესი“ – „საჭირო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებიდან „ადგილობრივი ორგანიზაციები“:

ადგილობრივი ორგანიზაციები

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 126

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 131

ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 125

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 147

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 145

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 128

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური
მისამართი: ჟ.შარტავას N7
ტელ: (+995 32) 2378 136

- ქ. თბილისის მერიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი;

ზემოთ ხსენებული ინფორმაცია აგრეთვე შესაძლებელია გადმოტანილ იქნეს განყოფილებაში „გზამკვლევი“ – „საჭირო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებიდან „სამუშაო საათები“:



სამუშაო საათები

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში სამუშაო საათი იწყება 9 საათზე და მთავრდება 18:00 საათზე.

შესვენების საათებია 13:00 დან 14:00 საათამდე.

სავაჭრო ობიექტები, ჩვეულებრივ, მუშაობს 10:00 დან 19:00 მდე შაბათ-კვირის ჩათვლით.

- ქ. თბილისის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მერის მოადგილეების სახელზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, მიმართვების წარდგენის, აგრეთვე ოფიციალური კორესპონდენციის წარმოების წესის აღწერა. აგრეთვე შესაბამისი ფორმები/ნიმუშები და ოფიციალური ელექტრონული მიმართვის საშუალების არსებობა.

5. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „გზამკვლევი“ და მასში არსებული ქვე - განყოფილება „ისტორია“, სადაც მოყვანილია ინფორმაცია „თბილისი - დაარსებიდან დღემდე ...“, რაც უდავოდ დადებით ფაქტად აღიქმება, თუმცა ვებ-გვერდზე განცალკევებით არ მოიძიება დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობის დეტალური ისტორია:



6. განყოფილებაში „ხელისუფლება“ სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად „კომპეტენცია“ ან „უფლებამოსილებანი“, სადაც განთავსდებოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისის თვითმმართველობის უფლებამოსილებების შესახებ მ.შ. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საკრედიტო უფლებების, საბიუჯეტო სფეროში ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციის *და ა.შ.* აღწერა. აგრეთვე, ამავე ქვე-განყოფილებაში დამატებით შეიძლება განთავსდეს ქალაქ თბილისის მთავრობის, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების, ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობებისა და შესაბამისი იურიდიული პირების (საჯარო სამართლის, სამეწარმეო, არასამეწარმეო) უფლებამოსილებების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. განყოფილებაში ,,ხელისუფლება“, სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად - ,,სტრუქტურა“, სადაც მოყვანილი იქნება ქ. თბილისის მერიის სისტემის სტრუქტურული ნახატი/სტრუქტურული ხე (ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული დანაყოფები, ქალაქ თბილისის ცენტრალური ორგანო - ქალაქ თბილისის მთავრობა, ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობები და ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები).

მოცემულ ნახატზე გამოსახულ თანამდებობის პირთა თუ ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალ უკლებლივ ყველა დანაყოფის, ერთეულის, ტერიტორიული ორგანოსა თუ იურიდიული პირის გრაფიკულ ბლოკებს სასურველია თან ახლდეს ამ ორგანოთა თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის მომცველი ბმული, რომელზე დაჭერისასაც ტექსტური ფორმატით მოცემული იქნება თანამშრომელთა ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (ფოტოსურათებით), სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ხელმძვანელთა კომპეტენციის მოკლე აღწერა, ხსენებულ ორგანოთა კომპეტენციის აღწერა *და ა.შ.*

შესაძლებელია აგრეთვე ხსენებული გრაფიკული ბლოკების განყოფილებაში „ხელისუფლება“ უკვე არსებულ შესაბამის ინფორმაციასთან დაინტერესებულ მომხმარებელთათვის გადასასვლელი ბმულის სახით წარმოდგენა.

8. ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ხელისუფლება“ სასურველია განხორციელდეს რიგი ინფორმაციის ცვლილება-დამატება, კერძოდ:

- ქვე-განყოფილება სათაურად „გენერალური ინსპექცია“ იუწყება, რომ მიმიდნარეობს რეკონსტრუქცია. სავარაუდოდ აღნიშნულ ქვე-განყოფილება ეძღვნება ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურაში შემავალი საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას, რომლის შესახებ სტანდარტული ინფორმაცია (ხელმძღვანელობა, თანამშრომლები, საკონტაქტო რეკვიზიტები) არ მოიძიება არც ქვე-განყოფილებაში

სათაურად „საქალაქო სამსახურები“. სასურველია ქვე-განყოფილება „გენერალური ინსპექცია“ შეივსოს შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით:

ქვე-განყოფილება სათაურად - „მერიის ადმინისტრაცია“

- ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქმედი დებულების მე-5 მუხლის თანახმად ადმინისტრაციის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური, ხოლო მერიის ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „მერიის ადმინისტრაცია“ ზემოთხსენებული ერთეული დასათაურებულია როგორც „ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური“, ანუ სათაურს შესაძლებელია დასაწყისში დაემატოს სიტყვა - „საინფორმაციო“:



- ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქმედი დებულების მე-5 მუხლის თანახმად ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მოყვანილია შემდეგი ერთეულების სრული სახელწოდებები: ქ. თბილისის მერის აპარატი (სამსახური); ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატი (სამსახური); ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის აპარატი (სამსახური); ქ. თბილისის მერის მოადგილის აპარატი (სამსახური); ქ. თბილისის მერის მოადგილის აპარატი (სამსახური). ვებ-გვერდზე

არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „მერიის ადმინისტრაცია“ სათაურებში მოყვანილი შესაბამისი სამსახურების შემოკლებული სახელწოდებები შესაძლებელია შეიცვალოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზემოთხსენებულ სრულ სახელწოდებებზე:



ქვე-განყოფილებები სათაურად - „მერიის ადმინისტრაცია“ და „საქალაქო სამსახურები“

- ინფორმაციულ ბლოკში სათაურად „თბილისის მერიის ადმინისტრაცია“ სასურველია ბმულები - „ვრცლად“ იხსნებოდეს. ხსენებულ ბლოკში სასურველია მოიძიებოდეს ადმინისტრაციის უფროსისა და უფროსის *უკლებლივ ყველა* მოადგილის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან. აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტების ერთობლიობა - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



- მერიის ადმინისტრაციაში შემავალი სამსახურების (მ.შ. აპარატების) ინფორმაციულ ბლოკებში სასურველია მოიძიებოდეს *უკლებლივ ყველა* ხელმძღვანელის და სხვა თანამშრომლის ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან. აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტების ერთობლიობა - სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



- მერიის ადმინისტრაციაში შემავალი სამსახურების (მ.შ. აპარატების) ინფორმაციულ ბლოკებში სასურველია უკლებლივ ყველა ბმული - „ვრცლად“ იხსნებოდეს. ამასთან, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ინფორმაციული ბლოკების შესაბამისად სასურველია უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი. აგრეთვე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოქმედი დებულება თანდართული ფაილის სახით:



- ყველა ზემოთ მოყვანილი რეკომენდაცია ანალოგიის ძალით შესაძლებელია გავრცელდეს ქვე-განყოფილებაში სათაურად - „საქალაქო სამსახურები“ არსებულ შესაბამის ინფორმაციაზე:



9. ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდის განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად - „რაიონული გამგეობები“ სასურველია განხორციელდეს რიგი ინფორმაციის ცვლილება-დამატება, კერძოდ:

- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიულ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა, შესაბამისად სახეზეა კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი - „რაიონის გამგეობა“. ამასთან, ტერმინი „რაიონული გამგეობა“ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდის განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებას - „რაიონული გამგეობები“ სასურველია გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს - „რაიონის გამგეობები“:



- ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობების ინფორმაციულ ბლოკებში სასურველია მოიძიებოდეს *უკლებლივ ყველა* გამგებლის, მოადგილის, რაიონული სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელის თუ სხვა თანამშრომლის ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან. აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტების ერთობლიობა - სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

- ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობების ინფორმაციული ბლოკების შესაბამისად სასურველია უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს შესაბამისი გამგეობისა და მისი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ.ფოსტის მისამართები, შესაბამისი გამგეობის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და (საფოსტო) მისამართი, აგრეთვე შესაბამისი რაიონის გამგეობის დებულება (შესაძლებელია მოქმედი მდგომარეობით გადმოტანილ იქნეს ქვე-განყოფილებიდან „კანონმდებლობა“) და გამგეობის სამსახურის დებულებები თანდართული ფაილების სახით.

- ყველა ზემოთ მოყვანილი რეკომენდაცია ანალოგიის ძალით შესაძლებელია გავრცელდეს ქვე-განყოფილებებში - „თბილისის არქიტექტურა“, „ქონების მართვის სააგენტო“ და „საგანგებო სიტუაციების სააგენტო“ არსებულ შესაბამის ინფორმაციაზე:


სიახლეები
ინფორმაცია
ინფორმაციული ბლოკი
ინფორმაციული ბლოკი
ინფორმაციული ბლოკი

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია;

ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობისა და მასში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისია.

- სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, მათი ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- სათათბირო ორგანოების სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა;
- სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები);
- მომავალ სხდომათა დღის წესრიგები (ქვე-განყოფილება „ანონსი“);
- სათათბირო ორგანოების ოქმები/საოქმო ჩანაწერები (ოქმების დამატებითი არქივი შესაძლებელია გადმოტანილ იქნეს ქვე-განყოფილებიდან „თბილისის არქიტექტურა“):

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

11. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ქ. თბილისის მერიაში ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ბაზა, ქ. თბილისის მერიის საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური და კვარტალური ანგარიშები (მ.შ.

ჩაშლა სტრუქტურული დანაყოფების, ქალაქ თბილისის მთავრობისა და რაიონების გამგეობების საქმიანობის მიხედვით), ქ. თბილისის მერიის მიერ შეგროვებულ ან/და დამუშავებულ სტატისტიკურ (მ.შ. დინამიკური მაჩვენებლების) მონაცემთა ბაზა *და ა.შ.*

ამასთან, განყოფილებაში „პროექტები“ - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ არსებული ბმული სათაურად „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის პირველი ეტაპი“ არ იხსნება:



განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ცნობები“ მოყვანილი ინფორმაციის არქივი მოძველებულია - უახლესი ცნობა თარიღდება 2010 წლით:



განახლებას საჭიროებს აგრეთვე განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ შემდეგი ქვე-განყოფილებების ინფორმაციული შიგთავსი: „განკარგულებები“ (უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2010 წლით), „ბრძანებები“ (უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2010 წლით) და „დადგენილებები“ (უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2011 წლით):



ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ხელისუფლება“, ქვე-განყოფილებაში - „ათასწლეულის ანგარიში“ მოყვანილი ანგარიში ბუნდოვანია და არ იკითხება, სასურველია არსებობდეს ჩამოსატვირთი ვერსია:

განყოფილებაში „ბიზნესი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დაიწყე ბიზნესი“ გრაფაში „პროექტის ამბები“ არსებული ბმულები არ იხსნება:

პროექტის ამბები

დაიწყე ბიზნესი მერიასთან ერთად დედაქალაქის მერმა 2008 წლის პროექტში "დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიის დახმა-რებით" გამარჯვებულები სიგელებით დაა-ჯილდოვა.

2008-04-18 14:07:49

ბავშვურ ემოციაზე აწყობილი ბიზნესი "დაიწყე ბიზნესი მერიასთან ერთად" ქ.

2007-06-27 13:12:17

ქველმოქმედება განსხვავდება ბიზნესისგან "ქველმოქმედება განსხვავდება ბიზნესისგან.

2007-06-14 16:53:16

"ყველა დიდი გასეირნება პირველი ნაბიჯებით იწყება" მუხიანის II მ/რ-ის 4 კორპუსში მოწყობილ სამკერვალო სალონს დღეს დილით ქ.
2007-05-04 11:42:21

კრეპსის კუთხე – პარიზული ვაკე 27 აპრილს ვაკეში, მოსაშვილის ქუჩის #1-ში ფრანგული კრეპსის კუთხე გაიხსნა.

2007-04-27 17:38:13

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

12. განყოფილებაში „სიახლეები“ არსებობს მოსახლეობასთან პირდაპირი ელექტრონული კავშირის შესაძლებლობა სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით, რაც აისახება დაინტერესებულ პირთა მიერ კომენტარების დატოვებაში. მიუხედავად ამ მისასალმებელი გარემოებისა (აღნიშნული ფუნქცია საქართველოს საჯარო ელექტრონულ სივრცეში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა), სამწუხაროდ მოსახლეობის აქტიურობისა და ჩართულობისა უკუკავშირის (შეკითხვაზე პასუხის გაცემის) ხარისხი საკმაოდ მწირი ან არასრულყოფილია:



გიგი უგულავა: „თბილისი 2015-ის“, ანუ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მომზადებისთვის, თბილისის მთელს ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი სპორტული იწფრასტრუქტურა გვჭირდება. ამ კუთხით აქ, კრწანისში, საყურადღებოა ძველი სპორტული ბაზა, რომელიც სრულიად ამორტიზირებულ მდგომარეობაში იყო. მე მახსოვს რამოდენიმე წლის წინ ეს შენობა იმდენად ავარიული იყო, რომ შემოსვლაც ვერ მოვახერხეთ. ეხლა ეს ცენტრი ექსპულატაციაში შევიდა. აქ არის სავარჯიშო ტრენაჟორები, შიდა და გარე საცურაო აუზები, ჩოგბურთის კორტები.2012 წლის განმავლობაში ქალაქს კიდევ შეემატება 2 საცურაო აუზი, ერთი ვარკეთილის, მეორე გლდანის მიმართულებით. გვაქვს ასევე პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ბავშვების სპორტულ სკოლებში სუბსიდირებას. ნებისმიერი სიკეთე, რომელიც ქალაქში კეთდება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვისაც, ვისაც ამის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვთ.

13. ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას შესაძლებელია შეიქმნას განყოფილება სათაურად „ოქმები“, სადაც განთავსდებოდა ქ. თბილისის მთავრობის სხდომებისა და ქ. თბილისის მერის თათბირების ოქმები (საოქმო ჩანაწერები). აგრეთვე, მომავალ სხდომათა დღის წესრიგები (ქვე-განყოფილება „ანონსი“).

14. ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას სასურველია შეიქმნას განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა ქ. თბილისის მერიის საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური და კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები (მ.შ. ჩაშლა სტრუქტურული დანაყოფების, ქალაქ თბილისის მთავრობისა და რაიონების გამგეობების საქმიანობის მიხედვით და ქ. თბილისის მერის მიერ საკრებულოსათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ). აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „ქ. თბილისის მერიის სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ქ. თბილისის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ქ. თბილისის მერიის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას (ანალოგიურად http://auction.tbilisi.gov.ge-ზე არსებული სტატისტიკისა):

გაყიდული ლოტების რაოდენობა (%) ქალაქის რაიონების მიხედვით



16. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ქ. თბილისის მერიის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას სახელი და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“, ამასთან შესაძლებელია ხსენებული ქვე-განყოფილების მთავარ გვერდზე ბანერის სახითაც შექმნა:

ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებულ სექციაში „კანონები და კანონქვემდებარე აქტები“ სასურველია აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც უახლესი მდგომარეობით:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“.

ამასთან, ხსენებულ სექციაში მოყვანილი რიგი საკანონმდებლო აქტებისა მოცემულია ძველი მდგომარეობით (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი *და ა.შ.*):

ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებულ სექციაში - „დებულებები“ ძველი მდგომარეობით არის მოცემული ქ. თბილისის მერიის საქმიანობის საფუძვლებისა და ორგანიზაციის მარეგულირებელი ისეთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულება და ქალაქ თბილისის მერიის დებულება:



ამასთან, ხსენებულ სექციაში არ მოიძიება იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულება.

სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია მოიძიებოდეს ქ. თბილისის მერიის საქმიანობიდან გამომდინარე და საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე გამგებლის ბრძანებები და განკარგულებები, გამგეობის დადგენილებები, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა ბრძანებები, მერიის ადმინისტრაციის უფროსის განკარგულებები და განცალკევებული სექცია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ტექსტებისათვის.

აგრეთვე, შესაძლებელია შეიქმნას განცალკევებული სექცია სათაურად „საშტატო ნუსხები“, სადაც განთავსდებოდა მერიის ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების და გამგეობის საშტატო ნუსხები.

დამატებით ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას სამართლებრივი აქტების თემატური საძიებო სისტემა (ფილტრაცია დოკუმენტის მიღების თარიღის, დოკუმენტის ტიპის, საკვანძო სიტყვის *და ა.შ.* მიხედვით), სადაც მოყვანილი იქნება მუდმივად განახლებადი სამართლებრივი აქტები უახლესი მდგომარეობით.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ვებ-გვერდზე სასურველია თვალსაჩინო ადგილას არსებობდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა ქ. თბილისის მერიაში მიღების წესის აღწერა, მ.შ. ქ. თბილისის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების სახელზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, მიმართვებისა და ოფიციალური კორესპონდენციის მიღებისა და წარმოების წესის აღწერა.

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან.

ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საქართველოს პარლამენტში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-

გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ქალაქ თბილისის მერიის, მათ შორის, ქალაქ თბილისის მთავრობის, სახელით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. მართალია განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებობს ქვე-განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, თუმცა ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილია ინფორმაცია სატენდერო განცხადებების შესახებ. ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე არსებობდეს წლების მიხედვით არქივირებული ქ. თბილისის მერიის მიერ უკვე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები), აგრეთვე განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია):



ამასთან, განყოფილებაში „ბიზნესი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტენდერები“ მოყვანილი სატენდერო განცხადებების და მათში ცვლილებების არქივი მოცემულია ძველი მდგომარეობით, სადაც უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2010 წლით:



ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

დასრულებული

ქ. თბილისის მერიის მიერ 2010 წლის 12 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ლია ნაგავსაყრელი პოლიგონების (გლდანი და იაღლუჯა) დახურვის და რეკულტივაციის მომსახურების (2 ლოტიანი) (მრავალწლიანი) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

27 ნოემბერი 2010 / 12:25

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

დასრულებული

შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2010 წლის 10 ნოემბერს მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურების მრავალწლიან სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

25 ნოემბერი 2010 / 09:54

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

დასრულებული

ქ. თბილისის მერიის მიერ 2010 წლის 09 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, გზების (ქუჩების) კაპიტალური შეკეთების (მშენებლობის) სამუშაოების (მრავალწლიანი) (7 ლოტიანი) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

23 ნოემბერი 2010 / 10:55

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

დასრულებული

შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 11 ნოემბრის გამოცხადებულ ორმოცული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების ექსპერტიზის, მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევების მომსახურების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ განცხადების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

18 ნოემბერი 2010 / 09:12

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

დასრულებული

შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 11 ნოემბრის გამოცხადებულ ორმოცული შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ განცხადების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

18 ნოემბერი 2010 / 09:10

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ქ. თბილისის მერიაში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ბიუჯეტი“ მოიძიება ინფორმაცია 2012 წლის გეგმისა და 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ვებ-გვერდზე ცალკე არ არის გამოტანილი ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს თბილისის მერია. **აღნიშნული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია, მხოლოდ ქალაქის ბიუჯეტში, რაც რეალურად ზღუდავს მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემების ხელმისაწვდომობას და საჯაროობას.**

- განყოფილებაში „ხელისუფლება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ბიუჯეტი“ სასურველია აგრეთვე განცალკევებით არსებობდეს ინფორმაცია საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ:

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“,** ქ. თბილისის მერიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა:*

1. *ქ.თბილისის მერის, ვიცე მერის, მერის მოადგილეების,ადმინისტრაციის უფროსის და უფროსის მოადგილეების, საქალაქო სამსახურის უფროსების:1) თანამდებობრივი სარგოების ოდენობა(ცალ-ცალკე). 2) სახელფასო დანამატების ოდენობა(ცალ-ცალკე);*
2. *ქ.თბილისის მერის, ვიცე მერის, მერის მოადგილეების, ადმინისტრაციის უფროსის და მისი მოადგილეების, საქალაქო სამსახურის უფროსების: ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დახარჯული თანხები(2009 წლის მთლიანად და 2010 წლის 1 იანვრიდან დღემდე თვეების მიხედვით).*
3. *ქ.თბილისის მერიის თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულის თანამდებობრივ სარგოებზე(ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/ 2010 წწ განმავლობაში.*
4. *მერის, ვიცე მერის, მერის მოადგილეების, ადმინისტრაციის უფროსის და უფროსის მოადგილეებზე, საქალაქო სამსახურის უფროსებზე 2009/2010 წლებში გაცემული პრემიების საერთო კვარტლური ოდენობები.*

რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ქ. თბილისის მერიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/3_last_added_file.pdf).

ქ. თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომხმარებელთა სიმრავლისა და ვებ-გვერდის განსაკუთრებული საინფორმაციო მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საკადრო უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებას. ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ყველა ფინანსური მონაცემის კატეგორიებად დაყოფა და ბიუჯეტის დოკუმენტებისაგან განცალკევება ნამდვილად გაამარტივებდა ზემოთ ხსენებული ინფორმაციის მოძიება-აღქმის პროცესს. ამავე დროს, აღნიშნული ცვლილება გამჭვირვალე და ხელმისაწვდომს გახდის მოსახლეობისთვის ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება-გაცნობის პროცესს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის მოძიებას საკმაოდ ართულებს სტრუქტურულად ერთი გვერდის, მაგრამ დომენის მხრივ ორი სხვადასხვა მისამართის: www.tbilisi.gov.ge და www.new.tbilisi.gov.ge არსებობა. განსაახლებელია და შესავსებია ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები როგორც: განკარგულებები, ბრძანებები, დადგენილებები, ცნობები, კონკურსები და სხვა. ცალკე უნდა იქნეს გამოტანილი ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროექტების ხარჯთაღრიცხვა. მთლიანობაში მოსაწესრიგებელია ვებ-გვერდის სტრუქტურა, შესაქმნელია ვებ-გვერდზე ატვირთული ახალი ამბების არქივი და მათი კალენდარი, დასახვეწია მოქალაქეებთან ელექტრონული კომუნიკაციის სტანდარტები, აუცილებელია საკონტაქტო განყოფილების შექმნა და სხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
20,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
33,33%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52,63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
30,77%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღილაკი „იხილეთ მეტი“ საჭიროებს დახვეწას:



მასზე დაჭერით იტვირთება ახალი ინფორმაცია, რეალურად ეს ღილაკი არის ე.წ „loader“-ი, რომელსაც დაჭერის შემდეგ აუცილებლად ჭირდება შესაბამისი აღნიშვნა, რომ ინფორმაცია იტვირთება, ან შესაბამისი პატარა ანიმაციის გამოტანა, რომ ჩატვირთვის პროცესი მიმდინარეობს. ახალი ინფორმაციის გამოტანისთანავე პროცესის აღმნიშვნელი ანიმაცია ან წარწერა წაიშლება და ამით დასტურდება, რომ ინფორმაცია წარმატებით ჩაიტვირთა. პროცესის დასაწყისის და დასასრულის აღნიშვნა საჭიროა იმისთვის, რომ მომხმარებელი მიხვდეს სწორად მოქმედებს თუ არა. ამჟამად ვებ-გვერდზე პროცესების აღმნიშვნელი ანიმაციები არ არის, შედეგად მომხმარებელი, როცა აჭერს ღილაკს „იხილეტ მეტი“ ვერ იგებს დაიწყო თუ არა ინფორმაციამ ჩატვირთვა;

- **ძიება**

ძიების ღილაკზე დაჭერის შემდეგ გვერდი იტვირთება და გამოდის ახალი ინფორმაცია, თუმცა გაუგებარია ეს ნამდვილად ძიების შედეგებია თუ არა, რადგან არც საკვანძო სიტყვებია გამუქებული და არც არსად წერია რომ ძიების შედეგებში ვიმყოფებით. მაგ:



მსგავს სიტუაციებში, რათა თავიდან ავიცილოთ მომხმარებლის დაბნევა, აუცილებლად უნდა დაეწეროს ძიების შედეგები, მაგალითად: „მოიძებნა 57 რესურსი“. ამ გზით მომხმარებელი ნამდვილად დარწმუნდება, რომ ძიება რეალურად განხორციელდა;

აუცილებლად აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ძიების მოდული ფუნქციონირებს მხოლოდ დომენზე: www.new.tbilisi.gov.ge ამავე დროს ინფორმაციულად ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები განლაგებულია ძველ დომენზე: www.new.tbilisi.gov.ge რომელსაც თავის მხრივ საერთოდ არ აქვს ძიების მოდული:

ვებ-გვერდის აღნიშნული წყობა მნიშვნელოვნად ართულებს მონაცემებისა და საჭირო ინფორმაციის მარტივად მოძიებას.

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ყველა გვერდს უნდა ჰქონდეს საკუთარი დასახელება და აღწერა (Document Title, Description). ეს პარამეტრი ვებ-გვერდზე Tbilisi.gov.ge არ არის დაცული. მაგალითად, თუ ვიმყოფებით რეაბილიტაციის გვერდზე, ვებ-გვერდის სათაური მაინც უცვლელი რჩება:



პრობლემაა ისიც, რომ ზოგიერთ გვერდზე არსებობს ვებ-გვერდის ინგლისურ ენაზე გადასაყვანი ღილაკი:



ხოლო ზოგ გვერდზე კი რუსულ ენაზე გადასაყვანი ღილაკი:

ამავე დროს, მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში, კერძოდ შესაბამისი ღილაკის არარსებობის გამო, შეუძლებელია საძიებო ველში ლათინური ასოებით საძიებო სიტყვის ჩაწერა, ახალი ამბების თარიღები მოცემულია ქართული შრიფტით, არ არის შეცვლილი ქართულენოვანი ბანერების ვიზუალი და სხვა:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

პირველ გვერდზე ჩვენ გვხვდება უამრავი სურათი, ეს ერთგვარი პრეზენტაციაა სხვადასხვა თემის. თუმცა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სურათების დიდი რაოდენობა ართულებს ვებ-გვერდის ჩასატვირთვას და შესაბამისად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად ოპტიმიზირებულად იყოს განთავსებული. ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ სურათები, ბევრად დიდი რეზოლუციის არიან ვიდრე ვიზუალურად ჩანან. მაგალითად, მთავარ გვედზე ერთ-ერთი სურათი გამოიყურება შემდეგნაირად:

ხოლო სინამდვილეში იგი გაცილებით დიდი მოცულობისაა:

განსხვავება აშკარად დიდია, შესაბამისად თუ პირველი გვერდის დანარჩენი სურათები ამ მეთოდით იქნება ატვირთული, გვერდის ჩატვირთვა ძალიან გართულდება;

ვებ-გვერდს აქვს ღილაკი „გაგზავნა ელ.ფოსტაზე“, რომელიც არ ფუნქციონირებს. მაგ:



მასზე დაჭერით ვებ-გვერდი არ რეაგირებს. ანალოგიურად პრობლემაა ღილაკზე: „დაბეჭდვა“. მაგ:



ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ირღვევა სტრუქტურა. მაგ:



ვებ-გვერდი ბრაუზერ „Opera“-ში არასწორად იტვირთება, ჩატვირთვის შემდეგ საჯარო დაწესებულების სიმბოლიკა და დასახელება არ ჩანს. მაგ:

ასევე ვებ-გვერდს აქვს მცირე პრობლემები ბრაუზერ „Internet Explorer“-ში, რადგან ჩატვირთვის შემდეგ ჩნდება „Scroll“-ი:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის მართვის პანელი ადვილად მისაგნებია. მაგ:



საჭიროა მისი უკეთესად დამალვა.

ამასთან, მართვის პანელის დაცვის სისტემა არ იმყოფება სათანადო დონეზე, რადგან იგი ყველა სიმბოლოზე ერთნაირად არ რეაგირებს და ზოგიერთ შემთხვევაში აჩვენებს შეცდომებს:

Warning Couldn't query: You have an error in your SQL syntax; check the manual that corresponds to your MySQL server version for the right syntax to use near AND `password`='[illegible]' at line 1

- **დამატებითი პარამეტრები**

აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდი რთულად იტვირთება. მალითად, 2012 წლის 5 აპრილ ის ტესტირების შედეგად გამოვლინდა, რომ სერვერმა, რომ გასცეს პასუხი მომხმარებელს, იმის შესახებ, რომ ასეთი ვებ-გვერდი ნამდვილად არსებობს, მთლიან პროცედურას სჭირდება 7 წამი:



შედარებისთვის მაგალითად, google.com-ი მომხმარებელს პასუხს სცემს დაახლოვებით 250 მილიწამში:



აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა უბრალოდ პასუხის გაცემაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პასუხის გაცემის შემდეგ ვებ-გვერდიდან იტვირთება შესაბამისი მასალა, ისეთი როგორიც არის სურათები, ტექსტები და სხვა - ვებ-გვერდი კიდევ უფრო აგვიანებს სრულ ჩატვირთვას. ტესტირება ჩატარებულია DSL ტიპის კავშირის მქონე პერსონალური კომპიუტერიდან;

ვებ-გვერდის ნაწილზე გათვალისწინებულია SEO (Search Engine Optimization), ნაწილზე კი არა.

მაგალითი სადაც არ არის SEO გათვალისწინებული:



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ SEO-ს შექმნის დროს საჭიროა კონტენტის შინაარსიდან გამომდინარე საკვანძო სიტყვებით ვებ-გვერდის FULL URL-ის აწყობა, ანუ მთლიანი ბმულის აწყობა და არა პროგრამისტის მიერ არჩეული სიტყვებით აწყობა.

არასწორი მაგალითი:



სწორი მაგალითი:

New.tbilisi.gov.ge/news/[სიახლის სათაური]

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ნაწილი ინფორმაცია იტვირთება ვებ-გვერდის ახალ ვერსიაში, ნაწილი კი იტვირთება ძველ ვერსიაში, ახალ ვერსიას აქვს ინგლისურენოვანი ვერსია და არ აქვს რუსული ვერსია, ხოლო ძველ ვერსიას კი პირიქით, ინგლისური ვერსია არ აქვს და რუსული ვერსია აქვს. ყველა ამ დეტალის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გართულებულია. გარდა აღნიშნული პრობლემისა, ინფორამციის ჩატვირთვა ხდება არასტანდარტულად, არ არის გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ნიუანსიები, მაგალითად კონტენტის ჩატვირთვის პროცედურებში.

ზოგადად ვებ-გვერდისთვის აუცილებელია ერთი მოდელის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის მოძიება და აღქმა იქნება ბევრად მარტივი ვიდრე ამჟამინდელ ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდს უნდა მიენიჭოს პორტალის ფუნქციონალი, რადგან მასზე ძალიან დიდი რაოდენობის ინფორმაცია და სერვისებია თავმოყრილი. შესაბამისად, პირველ რიგში აუცილებელია პორტალის შესაბამისი კონცეფციის შემუშავება და შემდგომ უკვე მისი დანერგვა.